აჭარა

გამოცემის 103-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№79 (25.103) სამშაბათი, 25 - 26 ივლისი, 2023 წ. 50 თეთრი

ბარამოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა ელჭექით, დასავლეთის მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 27-32 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 26 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 758 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

კონფერენცია – „საქართველო კონტრაფაქციისა და მეკობრეობის წინააღმდეგ"

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

24 ივლისს ბათუმში, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" და ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის ორგანიზებით, რიგით მე-7 საერთაშორისო კონფერენცია - „საქართველო კონტრაფაქციისა და მეკობრეობის წინააღმდეგ" გაიხსნა

კონფერენციაში, „საქპატენტთან" ერთად, სომხეთის, მოლდოვას, ყირგიზეთის, თურქმენეთის, ყაზახეთის, უზბეკეთის, ტაჯიკეთის, უნგრეთის, ესტონეთის, სერბეთის, რუმინეთის და აზერბაიჯანის საპატენტო უწყების წარმომადგენლები მონაწილეობენ. მონაწილეთა შორის არიან ქართველი და უცხოელი პატენტრწმუნებულები, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის, აშშ-ის საპატენტო და სასაქონლო ნიშნების უწყების, აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის, ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების, ევროპოლის ინტელექტუალური საკუთრების სფეროს დანაშაულთან ბრძოლის კოორდინირებული კოალიციის, მუსიკის

გამომცემელთა საერთაშორისო კონფედერაციის, ალიანსი კონტრაფაქციული სპირტიანი სასმელების წინააღმდეგ და სხვა საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კონფერენცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ გახსნა და მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა.

მონაწილეებმა განიხილეს ტრანსნაციონალური უკანონო ვაჭრობის ახალი ტენდენციები და ციფრული მეკობრეობის თავიდან აცილების თანამედროვე მეთოდები. ასევე, იმსჯელეს ციფრულ გარემოში საავტორო უფლებების აღსრულების საკითხებსა და სასურსათო პროდუქტების კონტრაფაქციის საფრთხეებზე.

დასკვნითი ღონისძიება ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ დავებზე სასამართლო პრაქტიკას მიეძღვნა.

პრეზიდენტ ბაიდენის სამწლიანი მონაგარი 3

ქართველი მხატვრები - თურქეთში 4

საჭადრაკო ფესტივალი გაიხსნა 4

როგორ შეიცვალა მიზნები და როგორ აქცია ფანტაზია რეალობად 5

სკოლა იუბილესთვის ემზადება 6

როგორ იზრდება ჩვენი პატარა? 7

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

ზოგადი განათლების სისტემის გაუმჯობესების მიზნით

ნაილე ხერთვისელი 27 48 93

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გიორგი ამილახვარი მთელი ქვეყნის მასშტაბით აგრძელებს მასწავლებლებთან შეხვედრებს. მინისტრმა მორიგი სამუშაო შეხვედრა ქალაქ ბათუმში, აჭარის რეგიონის სხვადასხვა სკოლის 200-ზე მეტ პედაგოგთან გამართა

მან შეხვედრის მონაწილეებთან ზოგადი განათლების სისტემის გაუმჯობესების კუთხით გადასადგმელი ნაბიჯები განიხილა და მოისმინა მოსაზრებები სკოლებში არსებული გამოწვევებისა და საჭიროებების შესახებ.

გიორგი ამილახვარმა ყურადღება გაამახვილა პროფესიული განვითარების სქემის ირგვლივ არსებულ საკითხებზე. მისი თქმით, მასწავლებელთა კარიერული წინსვლის მხარდასაჭერად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აქტიურ რეჟიმში აგრძელებს პედაგოგთა პროფესიული განვითარების სისტემის დახვეწას, რაც, თავის მხრივ, მათ მაქსიმალურ ჩართულობას გულისხმობს.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, მასწავლებლებთან შეხვედრები და მათი მონაწილეობა კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რათა სამინისტროს მიერ განხორციელებული თითოეული ინიციატივა მაქსიმალურად ითვალისწინებდეს პედაგოგთა საუკეთესო ინტერესებს.

შეხვედრისას საუბარი, ასევე, შეეხო სასკოლო სახელმძღვანელოების გაუმჯობესებისა და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს განვითარების ხელშეწყობას.

მასწავლებლებთან შეხვედრაში მონაწილეობდნენ აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი.

გიორგი ამილახვარის გადაწყვეტილებით, ზოგადი განათლების მიმართულებით არსებულ გამოწვევებზე დროული და ეფექტიანი რეაგირების მიზნით, მასწავლებლებთან შეხვედრები მთელი ქვეყნის მასშტაბით აქტიურ რეჟიმში გაგრძელდება.

ასევე, მინისტრის ხელმძღვანელობით, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში რექტორთა საბჭო გაიმართა, რომელშიც სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების რექტორებმა და წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა. შეხვედრის ფარგლებში, უმაღლესი განათლების სისტემაში არსებული გამოწვევები, მათი დაძლევის გზები და სამომავლო გეგმები განიხილეს. საბჭოს შეხვედრაზე მინისტრმა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებმა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე იმსჯელეს, როგორიცაა: სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პრიორიტეტული პროგრამები, უცხოელ სტუდენტთა ჩარიცხვის მექანიზმები, სტუდენტებისთვის სახელმწიფო სტიპენდიები, საერთაშორისო ერთობლივი პროგრამებისა და აკრედიტაციების მხარდაჭერის მექანიზმები, დისტანციური განათლების აღიარების საკითხები და სხვა. გიორგი ამილახვარმა განხილული საკითხების მოგვარების გზებზეც ისაუბრა და უნივერსიტეტების წარმომადგენლების შეკითხვებს უპასუხა. შეხვედრის დასასრულ საბჭოს წევრებმა კოორდინირებული მუშაობისთვის მზაობა გამოთქვეს.

არსებული პრობლემების გადაჭრის გზებზე ეფექტიანი გადაწყვეტილებების დროულად მიღების მიზნით, რექტორთა საბჭოს ფორმატში, უნივერსიტეტების ხელმძღვანელებთან შეხვედრებს პერმანენტული ხასიათი ექნება და ის საქართველოს მასშტაბით ყველა ავტორიზებულ საჯარო და კერძო უნივერსიტეტში გაიმართება.

ხიდები შენდება

ცოტნე ცაბაძე 27 48 94



ამ ეტაპზე სოფელ დიოკნისში, მაჩაქნარას მიმართულებით, ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზაზე, ხიდის ბურჯების და სარეგულაციო კედლების მშენებლობა მიმდინარეობს. ლოდიძირი-საკამბეჩოს საავტომობილო გზაზე ხიდის მშენებლობა დასკვნით ეტაპზეა. კეთილეწყობა გზის სავალი ნაწილი. სამუშაოებისთვის თანხები აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ბიუჯეტიდანაა მობილიზებული.

ბურთები – საჩუქრად

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

შარშან დაბა შუახევში ფეხბურთის სტადიონის მშენებლობა დასრულდა. იგი უკვე მუნიციპალიტეტის მთავარ სპორტულ არენად იქცა

შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანიის“ ხელმძღვანელობა შუახევის სტადიონს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. ამჯერადაც, კომპანიის დირექტორმა ბაქარ ჩიტაიამ ბათუმის საფეხბურთო სტადიონის ადმინისტრატორ ოთარ ფედიჩკინთან ერთად, შუახეველ ნორჩ ფეხბურთელებს საჩუქრად 50 ბურთი გადასცა. სტუმრებმა შუახევის მუნიციპალიტეტის მერ ომარ ტაკიძესთან, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძესა და სხვა ხელმძღვანელებთან ერთად, სტადიონისა და სასპორტო სკოლის ინფრასტრუქტურა დაათვალიერეს.

ბაქარ ჩიტაია და ოთარ ფედიჩკინი ქედაშიც იმყოფებოდნენ, სადაც თანამედროვე სტანდარტების სტადიონის საპროექტო სამუშაოები იწყება. მათთან ერთად სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნენ ქედის მუნიციპალიტეტის მერი როლანდ ბერიძე, სხვა ხელმძღვანელი პირები. წინასწარი გათვლებით, ახალი სტადიონის მშენებლობას 30 მილიონ ლარზე მეტი მოხმარდება.

- შუახევში ახალი სტადიონი იდეალურ მდგომარეობაშია. იქ მოთამაშე ბავშვებს გული გავუხარეთ. წლის ბოლომდე ქედის სტადიონის საპროექტო სამუშაოები დასრულდება. მალე ფურტიოს რაგბის სტადიონის კეთილმოწყობაც დაიწყება, - გვითხრა ბაქარ ჩიტაიამ.

ექსკურსია-ლაშქრობა – მახუნცეთში

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

ქედელი მოსწავლეები საზაფხულო არდადეგებს ორგანიზებულად და მიზნობრივად ატარებენ. სკოლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელები მათ თანადგომას არ აკლებენ. ხშირად ეწყობა მასიური ღონისძიებები, ტურისტული ლაშქრობები. ახლახან ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით მახუნცეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ახალგაზრდებისთვის ექსკურსია-ლაშქრობა მოეწყო

მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 50-მდე მოსწავლე მდინარე აჭარისწყალზე გასაბერი ნავებით, ერთმანეთს ჯომარდობაში შეეჯიბრა. შემდეგ კარტინგშიც მოსინჯეს ძალები.

ღონისძიების მიზანი იყო შიდა ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, ახალგაზრდებში ცნობიერების ამაღლება, ბუნების საინტერესო ადგილების მონახულება. ექსკურსია-ლაშქრობა მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში განხორციელდა.



ამბები

შაბათ-კვირის ქრონიკა

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე თურქეთის რესპუბლიკაში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში ბურსას გუბერნატორს იაქუფ ჯანბოლათს შეხვდა. შეხვედრაზე მხარეებმა ქვეყნებს შორის სტრატეგიული, სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის მნიშვნელობაზე ისაუბრეს. გამოითქვა რეგიონებს შორის თანამშრომლობის კიდევ უფრო მეტად გაღრმავების მზაობა, მათ შორის ეკონომიკური და კულტურული მიმართულებებით. თორნიკე რიჟვაძემ აღნიშნა, რომ თურქეთის რესპუბლიკასთან, როგორც სტრატეგიულ პარტნიორთან არსებული თანამშრომლობის კიდევ უფრო განვითარება მნიშვნელოვანია როგორც რეგიონის უსაფრთხოებისთვის, ისე სტაბილური და მდგრადი განვითარებისთვის.

* * *

სპორტსმენის, გინესის რეკორდსმენისა და მოგზაურის - ჯუმბერ ლეჟავას ავტობიოგრაფიული წიგნის პრეზენტაცია გაიმართა ბათუმში. „მოგზაურის ჩანაწერები“ წიგნის რედაქტორმა გიორგი ჭანტურიამ წარადგინა. მოგზაურის ჩანაწერებით შექმნილი ეს წიგნი მისი ცხოვრების სხვადასხვა პერიოდს ასახავს - ბავშვობის წლებიდან დაწყებული მსოფლიოს გარშემო მოგზაურობის ისტორიების ჩათვლით. ჯუმბერ ლეჟავამ 54 წლის ასაკში დაიწყო ველოსიპედით მოგზაურობა და 3 ათას 333 დღის განმავლობაში 238 ქვეყანა და დამოუკიდებელი ტერიტორია მოიარა. ამ პერიოდში ის დღიურს აწარმოებდა და ოჯახის არქივში შვიდი ათასგვერდიანი ხელნაწერები დარჩა, ასევე 300 საათზე მეტი ვიდეოჩანაწერი, რაზე დაყრდნობითაც დოკუმენტური ფილმი მომზადდა სახელწოდებით „ველოსიპედით მთვარემდე“.

* * *

ცნობილი და უცნობი ამბები ქართული თეატრის ისტორიიდან ამჯერად, ბათუმელმა მაყურებელმა ნახა. თეატრმცოდნე ნიკოლოზ წულუკიძე კოლეგებთან, მსახიობებთან და ხელოვანების გუნდთან ერთად წარსდგა მაყურებლის წინაშე და სცენაზე ის ისტორიები გააცოცხლა, რომლებიც საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილია. ეს არის ქართული თეატრის დაარსების პირველი წლები, ქრონოლოგიურად სამეფო კარის თეატრიდან მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ჩათვლით. რა გზა გაიარა თეატრმა - თავისი ექსპერიმენტული დადგმებით, ალტერნატიული დასებით, კრიტიკოსთა რეცენზიებით და ტრაგიკული ისტორიებით - ჯამში ასამდე ისტორია პროექტის ავტორებმა ერთ წარმოდგენად შეკრეს და მუსიკით, ქორეოგრაფიით, იმ პერიოდის სასცენო კოსტიუმებითაც კი სცენაზე გააცოცხლეს. „ქართული თეატრის ამბავი, ანუ“... მაყურებელს ბათუმის შემდეგ ქუთაისში ელოდება.

* * *

ბათუმში მსოფლიო რეკორდი დამყარდა. ორმა სპორტსმენმა - ბაგრატ ულენტმა და ჭაბუკა ჭიღლაძემ 15 ვაგონი, ჯამში 375 ტონა და 700 კგ ბეჭებით 2 მეტრზე გაწიეს. ამით ბაგრატ ულენტმა საკუთარი რეკორდი, 10 ვაგონი, გააუმჯობესა. ჭაბუკა ჭიღლაძისთვის კი ეს პირველი რეკორდია. ტექნიკური ხარვეზის გამო სპორტსმენებმა პირველ ცდაზე ვაგონები ვერ დაძრეს, ბაგირი გაწყდა. მეორე მცდელობისას კი მიუხედავად ტრავმისა, მოახერხეს და რეკორდი დაამყარეს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს უძლიერეს მამაკაცთა ნაკრები 21 და 22 ივლისს უძლიერეს მამაკაცთა შორის ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებულიცაა.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

პრეზიდენტ ბაიდენის სამწლიანი მონაგარი

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

გლობალურ პოლიტიკაში აშშ რომ მნიშვნელოვან როლს ასრულებს, საყოველთაოდაა ცნობილი. ამ ქვეყნის მხარდაჭერა განაპირობებს ამა თუ იმ სახელმწიფოს წარმატებას და, ხშირ შემთხვევაში, სუვერენიტეტსაც. ამის დასტურია არა მხოლოდ ბალტიისპირეთის ქვეყნები, არამედ უკრაინაც





აშშ-ის თანადგომა რომ არა, ოფიციალურ კიევს გაუძნელდებოდა რუსეთთან გამკლავება. პოლიტიკური ვითარებისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია ამერიკის შეერთებულ შტატებში მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნები, რომელიც უპირატესად, პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების მომავალს შეცვლის. ამდენად, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: ვინ იქნება აშშ-ის მომავალი პრეზიდენტი? ეს კითხვა სულ უფრო ხშირად გაისმის და არცაა გასაკვირი, უკრაინის და საქართველოს მომავალი დიდადაა დამოკიდებული ამერიკის პრინციპულობაზე ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა ნატოს გაფართოება და რუსეთის ამბიციების მოთოკვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან მიმართებით. ამდენად, ბუნებრივია საკითხის ასე დასმა - ბაიდენი თუ ტრამპი (ძირითადად მათ შორის წარიმართება ბრძოლა, თუ, რა თქმა უნდა, ტრამპი არ დააპატიმრეს)? კარგად გვახსოვს, რომ ზემოაღნიშნული ლიდერები ერთმანეთს 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებშიც დაუპირისპირდნენ და ტრიუმფალური გამარჯვება ბაიდენმა მოიპოვა. მაშინ ტრამპს დამარცხების აღიარება გაუძნელდა. მისმა მომხრეებმა კაპიტოლიუმის შტურმიც კი განახორციელეს. საბოლოოდ, ტრამპი დამარცხებას შეეგუა. შემდეგ მის წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო და როგორც ამბობენ, საპრეზიდენტო არჩევნებში ტრამპი იმ მოტივით მონაწილეობს, რომ მასზე გამოძიება შეწყდეს. ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობენ იქაური ანალიტიკოსები. ასე თუ ისე, ერთი რამ ცხადია: საპრეზიდენტო არჩევნები ამერიკის შეერთებულ შტატებში დაძაბული და საინტერესო იქნება. საქართველო ორივე კანდიდატს კარგად იცნობს, თუმცა ამ მხრივ აღსანიშნავია ბაიდენი, რომელმაც (ვიცე-პრეზიდენტის როლში) საქართველოში ყოფნისას ანტიმოსკოვური გზავნილები გაახმოვანა. მას შემდეგ თორმეტი წელი გავიდა, მსოფლიოში მნიშვნელოვანი ამბები მოხდა - რუსეთმა ყირიმის ანექსია მოახდინა და ახლა უკრაინის წინააღმდეგ ფართომასშტაბიან ომს ახორციელებს.

ჯერჯერობით ბაიდენისა და ტრამპის გამარჯვების შანსები (სოციოლოგიური გამოკითხვების თანახმად) თანაბარია. თუ გეოპოლიტიკურ სივრცეს ორად - ამერიკად და ევრაზიად დავყოფთ, აღმოჩნდება, რომ აშშ-ის პოლიტიკური გავლენის არეალი ტრამპის პრეზიდენტობის დროს ორივე კონტინენტზე შემცირდა. რიგ საკითხებში დასავლეთ ევროპა თეთრი სახლის პოზიციებს ვერ და არ იცავდა. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, აშშ-ს მყარი პარტნიორები აღარ ჰყავს ევრაზიის კონტინენტზე, თუ არ ჩავთვლით დიდ ბრიტანეთსა და ისრაელს, რაც უკრაინის ომში ნათლად გამოჩნდა.

მიუხედავად იმისა, რომ აშშ ყოველმხრივ ეხმარება უკრაინას აგრესორთან ბრძოლაში, უნდა ითქვას, თავის დროზე რომ დაეწესებინა რუსეთზე მძლავრი ეკონომიკური სანქციები, მსოფლიო უკრაინის ტრაგედიის მომსწრე არ იქნებოდა. ისიც აღსანიშნავია, რომ უკრაინის დამორჩილების გარეშე რუსეთი ახალ იმპერიას ვერ შექმნის, რაც კარგად გააცნობიერეს დასავლეთში და ამიტომაც, პრაქტიკულად, მთელი მსოფლიო ეხმარება უკრაინას - რუსეთის გამარჯვების შემთხვევაში ხომ მთელ ევროპას შეექმნება სერიოზული პრობლემები. არადა, დღევანდელ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები მეტყველებს, რომ ვერცერთი სახელმწიფო გადაწყვეტილებას ცალმხრივად ვერ იღებს, ნებისმიერმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს სხვა, დაინტერესებული სახელმწიფოს ინტერესები. რუსეთი ამ მხრივ გამონაკლისია. იგი არ ითვალისწინებს პოსტსაბჭოთა ქვეყნების ინტერესებს, თანაც იმის ცდაშია, როგორმე დააზარალოს და ამოაგდოს განვითარების კალაპოტიდან. ამის თვალსაჩინო მაგალითია მოლდოვა, უკრაინა და საქართველო... ჯერჯერობით რუსეთის გაკეთილშობილებაზე საუბარი ნაადრევია. არადა, კარგად გვახსოვს, როგორ აკრიტიკებდა ტრამპი ბაიდენს და რუსეთისადმი ლოიალობაში სდებდა ბრალს, თუმცა თავისი პრეზიდენტობის პერიოდში ვერც მან შეძლო რუსეთის ამბიციების მოთოკვა, უფრო პირიქით, დროდადრო პუტინისთვის ქებასაც არ იშურებდა, ახლა ის ხაზგასმით აცხადებს: „მე რომ პრეზიდენტი ვიყო, ამ ომს დავასრულებდი და ამას 24 საათი დასჭირდებოდა. მე კარგად ვიცნობ ზელენსკის, კარგად ვიცნობ პუტინს. შემიძლია დავასრულო ის ამ დროში 100 პროცენტით“. სამაგიეროდ, სწორედ ბაიდენის უკრაინისადმი მხარდაჭერამ განაპირობა ამ სახელმწიფოს გადარჩენა. ეს უდავოა. მიუხედავად ბაიდენის და პუტინის ცივილური ურთიერთობისა, აშკარაა, რომ ამ ორ სახელმწიფოს შორის ცივი ომი მძვინვარებს. ეს გამოიხატება, ერთი მხრივ, რუსეთის მიმართ გამკაცრებულ სანქციებში და, მეორე მხრივ, აშშ-ის მტრად გამოცხადებაში რუსი პოლიტიკოსების მხრიდან, ისინი დაუფარავად საუბრობენ, რომ აშშ-ს რუსეთის დაშლა სურს და ამიტომ ადეკვატური ნაბიჯები უნდა გადაიდგას დასავლეთის წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, ეს, უბრალოდ, სიტყვებია, რუსეთი უკრაინას ვერ ამარცხებს და, მით უმეტეს, დასავლეთს ვერაფერს დააკლებს - რუსეთს საამისო ძალა არ შესწევს. როგორც თავად რუსი ექსპერტები აცხადებენ, აშშ-ის საზღვაო ძალებს შეუძლია, 24 საათში გაანადგუროს რუსეთის საზღვაო ძალები. გარდა ამისა, ნატო გაფართოვდა სწორედ ბაიდენის პრეზიდენტობის პერიოდში - ფინეთი და შვედეთი ალიანსის წევრები გახდნენ, რაც, ცხადია, აშშ-ის პრინციპული პოზიციის შედეგია. პრაქტიკულად, რუსეთი ალყაშია მოქცეული, რისი წარმოდგენაც ადრე შეუძლებელი იყო. ამავე დროს ბაიდენმა დაალაგა ურთიერთობა ევროპასთან, რის გარეშეც აშშ-ის გაუჭირდება თავისი ინტერესების დაცვა ამ კონტინენტზე.

ახლა აშშ-ის საშინაო პოლიტიკა მიმოვიხილოთ. ამას წინათ, შუალედური არჩევნები საინტერესოდ წარიმართა. „რესპუბლიკელებმა“ გარკვეული უპირატესობა მოიპოვეს სენატსა და კონგრესში, თუმცა არა ისეთი, რომ სხვადასხვა საკითხზე პრეზიდენტის გადაწყვეტილება დაბლოკოს. ეს არჩევნები იმითაც იყო საყურადღებო, რომ მემარცხენე ძალებმა (როგორც „დემოკრატებიდან“, ისე „რესპუბლიკური პარტიიდან“) კრახი განიცადეს არჩევნებში, ვერცერთმა ოდიოზურმა პიროვნებამ წარმატებას ვერ მიაღწია ვერც კონგრესის და ვერც გუბერნატორის არჩევნებში, რაც ანალიტიკოსთა თქმით, სახარბიელოა უკრაინისთვის, რადგან „რესპუბლიკელები“ ეწინააღმდეგებიან აშშ-ის მხარდაჭერას უკრაინისადმი და დროდადრო კრემლისეულ გზავნილებს ახმოვანებენ. მართალია, ტრამპი აცხადებს, რომ ამჯერადაც ის გახდება აშშ-ის პრეზიდენტი და მსოფლიოში გადაუჭრელ პრობლემებს მოაგვარებს, თუმცა ამაში ექსპერტებს ეჭვი ეპარებათ, რადგან იგი ანტიდასავლური, რასისტული განცხადებებით გამოირჩევა. თავის მხრივ, ბაიდენს საგარეო კუთხით სატრაბახო ნამდვილად აქვს, მან, როგორც ვთქვით, მოაგვარა ნატოსთან და ევროკავშირთან ურთიერთობა. სწორედ მისი ძალისხმევით, უკრაინას მთელი დასავლეთი ეხმარება, რაც ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორია. ამ კოზირს მისი მომხრეები საარჩევნოდ გამოიყენებენ. როგორც პოლიტოლოგი გელა ირემაძე ამბობს: „მიუხედავად გარკვეულ საკითხებში აზრთა სხვაობისა, აშშ და ევროკავშირი იდეოლოგიურ მოკავშირეებად რჩებიან, ეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ სივრცეში კი მათ შორისაც არსებობს კონკურენცია“.

სამი წელია, რაც ბაიდენი თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტშია და ამ ხნის განმავლობაში მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწია. გააძლიერა ნატო, დაარეგულირა ურთიერთობა არა მარტო ევროპასთან, არამედ გარკვეულწილად, ჩინეთთანაც, რაც მთავარია, უკრაინას მნიშვნელოვან დახმარებას უწევს აგრესორთან ბრძოლაში. სწორედ აშშ-ის ძალისხმევის შედეგად უმკლავდება უკრაინა რუსეთს და ეს ცხადია. ამ მხრივ ექსპერტები ორ მოსაზრებას გამოთქვამენ: პრორუსული ვერსიით, ბაიდენი სამხრეთ კავკასიას, უკრაინის სანაცვლოდ, რუსეთს შეატოვებს და პოსტსაბჭოთა სივრცეს კრემლის გავლენის სფეროდ აღიარებს. მეორე მოსაზრებით, აშშ კიდევ უფრო მჭიდროდ ითანამშრომლებს საქართველოსთან და ქმედით ნაბიჯებს გადადგამს საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად... ასე თუ ისე, უდავოა, რომ საქართველოს საკითხი კვლავ აქტუალურია აშშ-ის ადმინისტრაციისთვის. რაც შეეხება რუსეთს, პუტინი შეეცდება პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე გავლენის გაზრდას, ამიტომ საკმაოდ რთული პერიოდი გველოდება (მით უფრო, უკრაინიში მარცხის შემთხვევაში). რუსეთისგან ყველაფერია მოსალოდნელი, ჩვენ აღარ უნდა წამოვეგოთ ხაფანგს და, რაც მთავარია, მეტად უნდა შევახსენოთ მსოფლიოს ჩვენი პრობლემები, ყველა დონეზე უნდა ვილაპარაკოთ ამაზე, რათა რუსეთის ხელახალი აგრესიის სამიზნე აღარ გავხდეთ. სწორედ ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ აშშ-ის მომავალი პრეზიდენტის ქმედებები ჩვენთან მიმართებით. ისიც ცხადია, რომ აშშ საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორად აღიქვამს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ აშშ საქართველოსთვის უშუალოდ იომებს. ასეთი რამ არ მოხდება და არც ჩვენთვისაა სახარბიელო, რომ ზესახელმწიფოები ერთმანეთს ჩვენს ტერიტორიაზე დაუპირისპირდეს, აჯობებს, დასავლეთმა რუსეთი მოლაპარაკებების გზით დაარწმუნოს ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციის აუცილებლობაში. რაც შეეხება ამერიკის მომავალი პრეზიდენტის ვინაობას, ექსპერტთა აზრით, ვინც არ უნდა იყოს აშშ-ის პრეზიდენტი, ის წინამორბედების პოლიტიკას გააგრძელებს, რაც გულისხმობს მოკავშირეების დაცვას და რუსეთის ინტერესების შეკვეცას სხვადასხვა რეგიონში.

„ექსპერტები ორ მოსაზრებას გამოთქვამენ: პრორუსული ვერსიით, ბაიდენი სამხრეთ კავკასიას, უკრაინის სანაცვლოდ, რუსეთს შეატოვებს და პოსტსაბჭოთა სივრცეს კრემლის გავლენის სფეროდ აღიარებს. მეორე მოსაზრებით, აშშ კიდევ უფრო მჭიდროდ ითანამშრომლებს საქართველოსთან და ქმედით ნაბიჯებს გადადგამს საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად... ასე თუ ისე, უდავოა, რომ საქართველოს საკითხი კვლავ აქტუალურია აშშ-ის ადმინისტრაციისთვის

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ინფორმაციით...

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე თურქეთის ქალაქ ბურსას მერ ალინურ აქთაშს შეხვდა. შეხვედრაზე ქვეყნებსა და რეგიონებს შორის თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავების პერსპექტივებზე იმსჯელეს, დაიგეგმა სამომავლო პროექტების ერთობლივად განხორციელება სავაჭრო-ეკონომიკური, კულტურული, საგანმანათლებლო მიმართულებით.

„ასევე, განიხილეს ყველა აქტუალური საკითხი, რომლებიც მნიშვნელოვანია ბურსაში მცხოვრები ქართული წარმოშობის მოქალაქეებისთვის.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარის სამუშაო ვიზიტი თურქეთის რესპუბლიკაში დასრულდა. ვიზიტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები საჯარო და ბიზნესსექტორის წარმომადგენლებთან. ასევე, თორნიკე რიჟვაძე თურქეთში მცხოვრებ ქართული დიასპორის წარმომადგენლებს შეხვდა“, - აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ამირან გურულიძე

ქართველი მხატვრები – თურქეთში

20 ივლისს ტრაბზონის მუნიციპალიტეტში, აქჩაობათში გაიმართა აჭარის მხატვრების საპასუხო გამოფენა. ერთი თვის წინ თურქი მხატვრების გამოფენა მოეწყო ნიკოლოზ კანდელაკის სახელობის ბათუმის სამხატვრო სკოლაში

თურქეთში აჭარის 22 მხატვრის თითო ნამუშევარი გამოიფინა, გამგზავრებით კი მხოლოდ 16 მხატვარი გაემგზავრა. იქ მათ მაღალ დონეზე დახვდნენ და გულღიად უმასპინძლეს. გამოფენის გახსნას დაესწრო აქჩაობათის მერი, ტრაბზონის მერიის კულტურის განყოფილების გამგე, ასევე იმ კულტურის ცენტრის ხელმძღვანელი, სადაც ნამუშევრები გამოიფინა. ეს არ არის პირველი გამოფენა. იქ პანდემიამდე ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ეწყობოდა ჩვენი მხატვრების გამოფენა. და აი, პანდემიის შემდეგ ისევ აღდგა გაცვლითი გამოფენები.

გამოფენა აქჩაობათის საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში გაიხსნა. შესავალი სიტყვით შეკრებილებს აჭარის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე გურამ ფუტკარაძემ მიმართა.

ფესტივალზე ცეკვა, მუსიკა, საშემსრულებლო ხელოვნება იყო წარმოდგენილი. როგორც გამოფენის ერთ-ერთმა მონაწილემ, მხატვარმა მაია ჭყონიამ გვითხრა, ფესტივალი იყო ძალიან კარგად ორგანიზებული. მისასალმებელია, რომ აქვე დაისახა ურთიერთთანამშრომლობის საინტერესო გეგმები.

სპორტი

ტურნირის დედოფალი – ლიზი მიქელაძე

ბათუმის ზღვისპირა პარკის ფრენბურთის (ქვიშის) მოედანზე დამთავრდა აჭარის ღია ჩემპიონატი „შავი ზღვის ვარსკვლავები 2023“ საპლაჟო ფრენბურთში, რომელიც აჭარის ფრენბურთის ფედერაციისა და სპორტის დეპარტამენტის მხარდაჭერით ჩატარდა

ეს არის ტრადიციული ღონისძიება, რომელსაც საფუძველი ჯერ კიდევ 2004 წელს ჩაეყარა და მაშინ მხოლოდ აჭარის მასშტაბით ტარდებოდა. 2007 წლიდან კი ის, როგორც აჭარის ღია ტურნირი ტარდება და მასში საქართველოს თითქმის ყველა რეგიონი მონაწილეობს.

წელს ტურნირზე თბილისის, ბოლნისის, თეთრიწყაროს, დმანისის, ქუთაისის, სამტრედიის, გორის, ცაგერის 2008-2009 და 2010-2011 წლებში დაბადებული სპორტსმენი გოგონები და ჭაბუკები ჩამოვიდნენ. რა თქმა უნდა, მასში ბათუმელებიც მონაწილეობდნენ და საკმაოდ წარმატებულადაც იასპარეზეს. ეს ღონისძიება ყოველთვის ძალიან პოპულარულია, თითოეული მატჩი - დასამახსოვრებელი, ამიტომ მასში ყველა სიამოვნებით მონაწილეობს, წელს რეკორდული რაოდენობის - 78 წყვილი ჩამოვიდა (საპლაჟო ფრენბურთს ორ-ორი სპორტსმენი თამაშობს).

როგორც აჭარის ფედერაციის მთავარმა მწვრთნელმა კლასიკურ და საპლაჟო ფრენბურთში ხათუნა გიორგაძემ გვითხრა, ამ რაოდენობის მონაწილე ხშირად სერიოზული დონის ტურნირებსაც არ ჰყავს. მან ბათუმის წყვილებში გამოჰყო მეგი ასკეროვასა და ელენე მექვაბიშვილის, ხოლო ვაჟებიდან - მანუჩარ დეკანაძისა და ოთარ ბიბილეიშვილის შესანიშნავი თამაში. წელს ჩემპიონატში პირველად მონაწილეობდნენ პატარები და ბათუმელებმა აქაც გვასახელეს - მერაბ კერესელიძე და ბექა საფარიძე ჩემპიონები გახდნენ და ოქროს მედლები დაიმსახურეს 2010-2011-წლიანების ასაკობრივ ჯგუფში. ამავე ჯგუფში ბრინჯაო მათე გვიანიძემ და ანდრო აფრიაშვილმა მოიპოვეს.

საუკეთესო წყვილებად სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში ბათუმის, სამტრედიის, ქუთაისისა და დმანისის წარმომადგენლები დასახელდნენ, ტურნირის ვარსკვლავებად კი მერაბ კერესელიძე და ელენე მექვაბიშვილი. ჩემპიონატის დედოფალი ლიზი მიქელაძე გახდა.

ტურნირის მთავარი მსაჯი თბილისელი ირინა სიმონიანი გახლდათ.

საპრიზო ადგილზე გასული სპორტსმენები აჭარის სპორტის დეპარტამენტის უფროსმა ირმა ნიჟარაძემ და დეპარტამენტის სხვა წარმომადგენლებმა დააჯილდოვეს.

წარმატებულ ფრენბურთელებს თასები, მედლები, სიგელები, სპორტული მაღაზიების ვაუჩერები და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ.

ნიაზ ჟორდანიასა და ვიტალი ასათიანის სახელობის მემორიალი

ბათუმის ჩოგბურთის კლუბის კორტებზე ნიაზ ჟორდანიასა და ვიტალი ასათიანის ხუთდღიანი მემორიალი დამთავრდა. ეს ორი ბათუმელი მეგობარი, საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატები, თანაკლასელები იყვნენ. მათ არაერთ წარმატებას მიაღწიეს სპორტის ამ სახეობაში. ტურნირის მიზანი საქართველოში ჩოგბურთის პოპულარიზაცია, ახალგაზრდა ჩოგბურთელთა ოსტატობის ამაღლებაა.

მემორიალის ორგანიზატორი და მხარდამჭერები აჭარის სპორტის დეპარტამენტი, აჭარის ჩოგბურთის ფედერაცია და ბათუმის ჩოგბურთის კლუბი იყო.

აღნიშნული ტურნირი, რომელიც ტრადიციულია, წელს მეოცედ ჩატარდა და ამ ხნის განმავლობაში ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა. ამჯერად ბათუმის ტურნირში ოზურგეთის, თბილისისა და ბათუმის სხვადასხვა კლუბის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, ასევე, უკრაინელები, რუსები - ყველა ასაკობრივ კატეგორიაში, სულ 86 სპორტსმენი. ღონისძიება საინტერესოდ ჩატარდა. ასპარეზობას ათ ასაკობრივ კატეგორიაში ჰყავდა გამარჯვებული.

აღსანიშნავია, რომ წელს მონაწილეებმა განახლებულ, რეკონსტრურებულ კორტებზე ითამაშეს, რაზეც, ბათუმის ჩოგბურთის კლუბის მესაკუთრე მერაბ აფხაზავამ

მემორიალზე წარმატებით გამოვიდა ბათუმელი, 11 წლის იური ტიქტოპულო. ის, საქართველოს ნაკრების წევრია. ბათუმის ტურნირზე 14-წლიანებში იასპარეზა და პირველი ადგილიც დაიკავა. ამჟამად, საფრანგეთის საერთაშორისო ტურნირზე ასპარეზობს.

როგორც აჭარის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმერ ასათიანი ამბობს, მას დიდი მომავალი აქვს, ისევე, როგორც მარკ ხუმროიანს. ორივე პერსპექტიული ჩოგბურთელია.

12 წლამდე ასაკის გოგონებში თბილისელმა კესარია გუგუშვილმა გაიმარჯვა. მან ფინალში, ასევე თბილისელ, ნინი ნიკოლაიშვილს მოუგო. ბათუმურ ტურნირში პირველად მონაწილეობდა და უხარია, რომ წარმატებით დასრულა.

- ძალიან კარგი ტურნირი იყო, კარგად ორგანიზებული, საინტერესო შეხვედრებს ვადევნებდით თვალს, რაც ასევე გამოცდილებას გვმატებს, - გვითხრა კესარიამ.

საპრიზო ადგილზე გასულ სპორტსმენებს ორგანიზატორებმა თასები, მედლები და სიგელები გადასცეს.

ტურნირის მთავარი მსაჯი ვლადიმერ ასათიანი გახლდათ.

საჭადრაკო ფესტივალი გაიხსნა

მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლეში შაბათს გაიხსნა და 28 ივლისს დაიხურება „საჭადრაკო ფესტივალი ბათუმი 2023“. იგი ტრადიციულია და წელს მეთვრამეტედ ტარდება

ღონისძიებას ატარებენ აჭარის ჭადრაკის ფედერაცია, აჭარის სპორტის დეპარტამენტი, ბათუმის მერიის სპორტული ცენტრი, ფესტივალის ფარგლებში 8, 10, 12 და 20 წლამდე ასაკობრივ კატეგორიაში გაიმართება ტურნირი ჭაბუკთა და გოგონებს შორის, ასევე, ბლიც ტურნირი, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მოჭადრაკეს ასაკის შეუზღუდავად.

შედეგების მიხედვით, დაჯილდოვდება ის ხუთი მწვრთნელი, რომელთა აღსაზრდელები ტურნირზე თავს გამოიჩენენ.

ტურნირზე დაწესებულია სხვადასხვა პრიზი, ასევე, სპორტული მაღაზიის ვაუჩერები, ფულადი ჯილდო. გამარჯვებულები სხვადასხვა ნომინაციაშიც გამოვლინდებიან.

ფესტივალში ხუთი ქვეყნის 116 მონაწილეა ჩართული.

გვერდი მოამზადა
მანანა ძიძიშვილმა

როგორ შეიცვალა მიზნები და როგორ აქცია ფანტაზია რეალობად

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ანა დიასამიძე ქალბატონებისთვის დახვეწილ, განსხვავებულ და მოდურ ხელნაკეთ აქსესუარებს ამზადებს, რომელიც ჩვენს ქალაქში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. ანამ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრიატი დაამთავრა. ის, ასევე, ვროცლავის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრი და საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში საჯარო მმართველობის მაგისტრია. რატომ ამჯობინა პოლიტიკას ხელსაქმე, ამას ჩვენი ინტერვიუდან გაიგებთ

- ანა, როდის დაინტერესდით ხელნაკეთი ნივთების შექმნით?

- ხელოვანი ადამიანების ოჯახში გავიზარდე, ჩემ ირგვლივ ყოველთვის მუსიკოსები, მხატვრები და მწერლები ტრიალებდნენ. ფერებიც სწორედ მაშინ შევიყვარე. უკვე განსხვავებულად აღვიქვამდი სამყაროს. ჩემთვის რეალობა და წარმოსახვა განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. ყველას კარგად გვახსოვს 90-იანი წლები, როცა თითქმის შეუძლებელი იყო საკუთარი ოცნებისთვის ფრთების შესხმა, ყველა დინებას მივყვებოდით. შინაგანი პროტესტი ყოველთვის მქონდა, ესეც ოჯახისგან ვისწავლე. ოჯახი იყო ის თავშესაფარი, რომელიც ჩემს სულს ნამდვილად სჭირდებოდა. ბავშვობის ოცნებების ახდენას დაგვიანებით შევუდექი, თუმცა, ალბათ, „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“. პატარაობიდანვე მიტაცებდა მოდა, ტანსაცმელი, რომელიც ჩემთვის მხოლოდ შესამოსის ფუნქციას არ ატარებდა, ის გარკვეულწილად, თვითგამოხატვის საშუალება იყო. ესკიზებს ვხატავდი, ძირითადად, საღამოს კაბებს და აქსესუარებს. ეს არ იყო ჩვეულებრივი ესკიზები, მუდმივად განსხვავებულ ფორმებსა და ფერებს ვეძებდი. თვალს დავხუჭავდი და წარმოვიდგენდი, როგორ ენაცვლებოდა ერთ კაბას მეორე, მეორეს - მესამე. არასდროს მენახა მსგავსი მოდელები. იმ პერიოდში ინტერნეტზე წვდომის საშუალება არ გვქონდა და ერთადერთი, რისი ნახვაც შემეძლო ტელევიზორში, მოდის არხები და რამდენიმე მოდის ჟურნალი იყო. მახსოვს, ერთხელაც, როცა მორიგ ჩვენებას ვუყურებდი, მოულოდნელად დავინახე ჩემს ფანტაზიასა და ფურცლებზე გადმოტანილი ჩანახატების გაცოცხლებული, რეალური ვერსიები. ეს იმდენად დიდი შოკი იყო, რომ ცრემლიც კი მომადგა თვალზე და რამდენიმე წამი ხმას ვერ ვიღებდი გაოცებისგან.

- რამ განაპირობა თქვენი არჩევანი?

- მიუხედავად ხელოვნების სიყვარულისა, ჩემს ბავშვობაში, ქვეყანაში არსებული ვითარებიდან გამომდინარე, უფრო „პრაქტიკული“ პროფესიის არჩევა გადავწყვიტე. საკმაოდ წარმატებულად გავაგრძელე კარიერა, სახელმწიფო გრანტებით დავასრულე უმაღლესი განათლების ორივე საფეხური. აქტიური - სამოქალაქო სექტორში, დაინტერესებული საჯარო პოლიტიკით, წლების განმავლობაში ვიცვლიდი სამსახურებს, ვისწავლე საზღვარგარეთ. უკვე საჯარო პოლიტიკისა და პოლიტიკური მეცნიერებების მაგისტრის დიპლომებიანმა, საკუთარ პროფესიაში შემდეგ საფეხურზე გადასვლის ნაცვლად, გადავწყვიტე, ცხოვრებაში ერთხელ მაინც ის გამეკეთებინა, რაც ყველაზე მეტად მსურდა. ავყევი გულის კარნახს, მივატოვე სამსახური ერთ-ერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და დავუბრუნდი იმ პატარა ანას, რომელიც ფერადი სამყაროს შექმნას ცდილობდა. აქ ვარ დღეს, საინტერესო ახალი გზის დასაწყისში. ვცდილობ, თითოეული ქალბატონის გულში შევაღწიო და ჩემი ფერადი სამყარო გავუზიაროო.

> ***„წლების განმავლობაში ვიცვლიდი სამსახურებს, ვისწავლე საზღვარგარეთ. უკვე საჯარო პოლიტიკისა და პოლიტიკური მეცნიერებების მაგისტრის დიპლომებიანმა, საკუთარ პროფესიაში შემდეგ საფეხურზე გადასვლის ნაცვლად, გადავწყვიტე, ცხოვრებაში ერთხელ მაინც ის გამეკეთებინა, რაც ყველაზე მეტად მსურდა“***

- როდის გაგიჩნდათ სხვადასხვა აქსესუარის შექმნის სურვილი?

- მათ ყოველთვის ვქმნიდი, სკოლაშიც და შემდეგაც. მუდმივად განსხვავებულის ძიებაში ვიყავი, თუმცა სერიოზულად არ მიფიქრია, ეს საქმიანობად მექცია. მას შემდეგ, რაც შვილი შემეძინა, ჩემი ცხოვრება, ღირებულებები და მიზნები შეიცვალა. უფრო მეტად დავიწყე ფიქრი სიყვარულზე, ემოციებზე, რა გვსურს ცხოვრებისგან, სად ვართ და სად გვინდა ვიყოთ. მივხვდი, რომ ჩემი ოცნებები სხვაგან იყო, მე კი სხვა რეალობაში ვცხოვრობდი. ამიტომ გადავწყვიტე, საკუთარი ფანტაზია რეალობად მექცია და სხვისთვისაც მეჩვენებინა. ჯერ ბავშვების ტანსაცმლის მინიკოლექცია შევქმენი, შემდეგ უკვე აქსესუარები შევმატე. მას შემდეგ, რაც დადებითი გამოხმაურება მოჰყვა ჩემს მცდელობას, უფრო ინტენსიურად გავაგრძელე მუშაობა. საბოლოოდ, პოლიტიკური მეცნიერებების მაგისტრის დიპლომებიანმა, საკუთარ პროფესიაში შემდეგ საფეხურზე გადასვლის ნაცვლად, გადავწყვიტე, ცხოვრებაში ერთხელ მაინც ის გამეკეთებინა, რაც ყველაზე მეტად მსურდა. ამან ჩემი ძირითადი საქმიანობა ჩანაცვლა და უკვე პროფესიის შეცვლა მომიხდა. ახლა გაიზარდა ბრენდი და ქალების აქსესუარებსაც ვამზადებ.

- რა ქსოვილს იყენებთ მუშაობისას?

- ვცდილობთ, ჩვენი ნამუშევრები მაქსიმალურად საუკეთესო იყოს, ასევე, საუკეთესო ფასთან კომბინაციაში. მომხმარებლების შეფასებები კი ჩვენთვის მთავარი მოტივაციაა. გვიხარია, რომ მათი უმრავლესობა, პირველი კოლექციიდან პროდუქტის შეძენის შემდეგ, ჩვენი ერთგული მომხმარებელი გახდა და ბევრი სხვა მომხმარებელიც შეგვძინა. ხარისხის გარდა, იმაზეც ვფიქრობთ, როგორ შევარჩიოთ ისეთი ქსოვილი, რომელიც ზუსტად შეესაბამება ჩვენს აქსესუარებს. ტანსაცმელთან შედარებით, აქსესუარის დამზადებისას ბევრი ნიუანსია გასათვალისწინებელი - ქსოვილის გამძლეობა, ფორმა, რამდენად არის შესაძლებელი მასზე ნაქარგის დატანა და ასე შემდეგ.

- კიდევ რომელი სფერო გიზიდავთ?

- უამრავი სფერო მაინტერესებს, რაც მიღებული განათლებიდანაც კარგად ჩანს. ბევრს გაუკვირდება, როგორ შეიძლება გიყვარდეს და გაინტერესებდეს ხელოვნება და პოლიტიკა ერთდროულად, თუმცა ჩემს შემთხვევაში ეს ნამდვილად ასეა. პოლიტიკა არ შეიძლება განყენებულად განვიხილოთ, ის ყოველდღიურობის ნაწილია და ჩვენს ცხოვრებას, მომავალს ქმნის. ჯერჯერობით, ოცნებად მაქვს და ალბათ, შევძლებ რეალობად ვაქციო საგანმანათლებლო ფონდის შექმნის იდეა. მისი მეშვეობით ქართველ ახალგაზრდებს ხელს შევუწყობ განათლების გაღრმავებაში, საინტერესო გამოცდილებების გაზიარებასა და მიღებაში. იმედი მაქვს, მომავალში მექნება საკმარისი ფინანსური რესურსი, რომ ეს ყველაფერი რეალობად ვაქციო.

- თქვენი აზრით, რა არის წარმატების ფორმულა?

- წარმატება არის აკეთო ის, რაც გაბედნიერებს. ფორმულა კი არის ერთადერთი - უსმინო საკუთარ თავს, მიჰყვე მას, არ დანებდე, არ დაიზარო და ბევრი იშრომო ამ გზაზე.

უკრაინა

უკრაინის თავდაცვის მინისტრი ოლექსი რეზნიკოვი ნატოს მომავალი წლის სამიტს, რომელიც ვაშინგტონში უნდა გაიმართოს, უკრაინის ალიანსში მიღების შესაძლებლობად განიხილავს. „ვინ იცის, იქნებ ეს ძალიან მნიშვნელოვანი დღე იყოს უკრაინისთვის. ეს მხოლოდ ჩემი პროგნოზია“, - განუცხადა რეზნიკოვმა CNN-ს. მიუთითა რა ნატოს ხელშეკრულების მე-5 მუხლზე, მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ უკრაინა ალიანსში გაწევრიანებას მხოლოდ ომის დასრულების შემდეგ შეძლებს. კითხვაზე, ფიქრობს თუ არა, რომ ომი მომავალ ზაფხულამდე დასრულდება, რეზნიკოვმა სწრაფად უპასუხა: „დიახ. ჩვენ გავიმარჯვებთ ამ ომში“. უკრაინის თავდაცვის მინისტრის შეფასებით, ომის დასრულების შემდეგ უკრაინის ნატოში გაწევრიანება თავად ალიანსის ინტერესებში იქნება. „გამარჯვების შემდეგ, ეს ნატოს ინტერესებში იქნება, რადგან ჩვენ გავხდით ნატოს ნამდვილი აღმოსავლური ფარი, ან ევროპის აღმოსავლური ფარი. უკრაინამ მოიპოვა ნამდვილი საბრძოლო გამოცდილება - როგორ შეაკავოს რუსები, დაამარცხონ ისინი, დაამარცხონ ნატოს სტანდარტების შეიარაღების გამოყენებით“, - განაცხადა რეზნიკოვმა.

* * *

უკრაინამ ორი დრონით მოსკოვში მდებარე ობიექტებზე ტერორისტული თავდასხმა სცადა, ორივე დრონი რადიოელექტრონული ბრძოლის საშუალებებით ჩაახშეს, - ამის შესახებ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებაშია აღნიშნული. უწყების ინფორმაციით, თავდასხმას მსხვერპლი არ მოჰყოლია. „24 ივლისს, დილით, აღიკვეთა კიევის რეჟიმის მცდელობა, ქალაქ მოსკოვის ობიექტებზე ორი უპილოტო საფრენი აპარატით ტერორისტული თავდასხმა განეხორციელებინა. ორი უკრაინული უპილოტო საფრენი აპარატი ჩაახშეს და ჩამოაგდეს რადიოელექტრონული ბრძოლის საშუალებებით“, - აცხადებენ სამინისტროში. მანამდე მოსკოვის მერმა სერგეი სობიანინმა განაცხადა, რომ ადგილობრივი დროით დაახლოებით დილის ოთხ საათზე დრონები თავს დაესხა ორ არასაცხოვრებელ კორპუსს. მისი ინფორაციით, თავდასხმის შედეგად სერიოზული დაზიანება არ მომხდარა და არავინ დაშავებულა. ამასთან, დედაქალაქის ტრანსპორტის დეპარტამენტის განცხადებით, მომხდართან დაკავშირებით კომსომოლსკისა და ლიხაჩევის გამზირებზე მოძრაობა გადაიკეტა.

* * *

უკრაინის თავდაცვის მინისტრ ოლექსი რეზნიკოვის განცხადებით, F-16 ტიპის საბრძოლო თვითმფრინავებზე უკრაინელი მფრინავების მომზადება აგვისტოში დაიწყება. რეზნიკოვმა CNN-თან ინტერვიუში აღნიშნა, რომ წვრთნებს მინიმუმ, 6 თვე დასჭირდება და რომ უკრაინას ჯერ კიდევ სჭირდება გარკვეული დამატებითი ინფრასტრუქტურა საბრძოლო თვითმფრინავებისთვის. უკრაინის თავდაცვის მინისტრის განცხადებით, იგი ოპტიმისტურად ფიქრობს, რომ მფრინავები F-16-ებს უკრაინის ცაში მომავალი წლის გაზაფხულამდე გამოიყენებენ. რეზნიკოვის თქმით, უკრაინას რომ ახლა ეს მოიერიშე თვითმფრინავები ჰქონდეს, ისინი ქვეყანას მიმდინარე კონტრშეტევაში მეტი პროგრესის მიღწევაში დაეხმარებოდნენ. „თუ გაქვს უფრო დახვეწილი, უფრო თანამედროვე იარაღი, უფრო ეფექტური იქნები“, - აღნიშნა რეზნიკოვმა. მისი თქმით, წვრთნები, რომლებიც, სავარაუდოდ, დანიასა და ნიდერლანდებში, ასევე გაერთიანებულ სამეფოში ან პოლონეთში ჩატარდება, მოიცავს ინტენსიურ სესიებს ტექნიკოსებისთვისაც, რადგან თვითმფრინავების ტექნიკური მომსახურება „სერიოზული ამოცანაა“. რეზნიკოვის განმარტებით, წვრთნები, შესაძლოა, ქვეყნებს შორის გაიყოს, მაგრამ საბოლოო გეგმები ჯერ კიდევ დასრულების პროცესშია.

* * *

უკრაინის მიერ ყირიმის ქალაქ ჯანკოიზე დღეს დრონებით განხორციელებული თავდასხმის შედეგად საბრძოლო მასალის საწყობი განადგურდა, - ამის შესახებ ყირიმის რუსეთის მიერ დანიშნული ე.წ. ხელმძღვანელი სერგეი აქსიონოვი იუწყება. მისი მტკიცებით, რუსეთის საჰაერო თავდაცვამ უკრაინის მიერ გაშვებული 11 დრონი ჩაახშო. ამასთან, მას არ დაუკონკრეტებია საბრძოლო მასალის საწყობზე დრონით პირდაპირი დარტყმა განხორციელდა თუ ის ჩამოგდებული უპილოტო საფრენი აპარატის ნამსხვრევებმა გაანადგურა. სერგეი აქსიონოვის განცხადებით, თავდასხმის შედეგად საცხოვრებელი შენობაც დაზიანდა. მისი ინფორმაციით, აღნიშნულ ტერიტორიაზე, „უსაფრთხოების მიზნით“, სარკინიგზო და საავტომობილო მიმოსვლა შეჩერდა.

* * *

უკრაინელებმა სამხრეთ ფრონტზე 12 კვადრატულ კილომეტრზე მეტი ტერიტორია გაათავისუფლეს, - ამის შესახებ უკრაინის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ანა მალიარმა განაცხადა. ამასთან, მისი თქმით, უკრაინელებმა კონტრშეტევის დაწყებიდან აღნიშნული მიმართულებით 192 კვადრატულ კილომეტრზე მეტი ტერიტორია გაათავისუფლეს. „უკრაინული ჯარები აგრძელებენ შეტევითი ოპერაციის ჩატარებას რამდენიმე რაიონში მელიტოპოლისა და ბერდიანსკის მიმართულებით“, - აღნიშნა მალიარმა.

* * *

ოდესის ოლქზე რუსული ძალების მიერ განხორციელებული თავდასხმის შედეგად მდინარე დუნაის საპორტო ინფრასტრუქტურა დაზიანდა და 6 ადამიანი დაშავდა, - ინფორმაციას ოდესის ოლქის სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ოლეგ კიპერი ავრცელებს. „რუსმა ტერორისტებმა კიდევ ერთხელ შეუტიეს ოდესის ოლქს. ამჯერად, სამიზნე მდინარე დუნაის საპორტო ინფრასტრუქტურა იყო. რუსები პორტებს Shahed-136-ის დრონებით ოთხი საათის განმავლობაში უტევდნენ. სამი დრონი ჩვენმა საჰაერო თავდაცვის ძალებმა გაანადგურეს. თავდასხმის შედეგად ექვსი ადამიანი დაშავდა“, - განაცხადა ოლეგ კიპერიმ. მისი თქმით, დარტყმის შედეგად მარცვლეულის ანგარი განადგურდა და ტვირთის შესანახი რეზერვუარები დაზიანდა.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

სკოლა იუბილესთვის ემზადება

*„ქართული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ინიციატივით, 120 წლის წინ ქედაში პირველი ქართული სკოლა აღადგინეს. ახლა ეს საგანმანათლებლო კერა დაბა ქედის საჯარო სკოლის სტატუსით მუშაობს. მისი დირექტორია ახალგაზრდა სპეციალისტი **თამარ აბულაძე,** რომელიც ჩვენი სტუმარია.*

- ქალბატონო თამარ, სპეციალობით ფინანსისტმა ქედაში არსებული უძველესი სკოლის დირექტორობა როგორ ითავეთ?

- მინდა, აღვნიშნო, რომ უნივერსიტეტის დამთავრებიდან საკმაო დროის გასვლის შემდეგ, სწავლა გავაგრძელე განათლების მიმართულებით. ქვეცნობიერი მკარნახობდა, რომ შემეძლო თავი საგანმანათლებლო სფეროში წარმომეჩინა. წლების განმავლობაში დაგროვილმა გამოცდილებამ, პიროვნულმა შესაძლებლობებმა და ნდობამ, რომელიც ძალიან ძვირფასია ჩემთვის, მომცა გამბედაობა, გავმხდარიყავი უძველესი და უდიდესი ისტორიის მქონე დაბა ქედის საჯარო სკოლის დირექტორი.

- სასკოლო რეფორმა დირექტორისა და თითოეული პედაგოგისგან დიდ ძალისხმევას ითხოვს. ამ გამოწვევას როგორ პასუხობთ?

- ჩვენი სკოლა ადამიანური რესურსით გამორჩეულია. ჩვენთან მხარდაჭერილია ინკლუზიური განათლება, ერთიანი ძალისხმევით ვქმნით პიროვნებაზე, კრიტიკულ, შემოქმედებით აზროვნებაზე, უნარებისა და ღირებულებების განვითარებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო გარემოს. აქ შეუძლია მოზარდს შეიძინოს ცოდნა და უნარ-ჩვევები, რათა შემდგომში გაუადვილდეს 21-ე საუკუნის გამოწვევებთან გამკლავება.

- გასულ სასწავლო წელს მრავალი აქტივობის ინიციატორი იყავით. მათგან რომელი იყო მნიშვნელოვანი?

- ყველა ინიციატივა, სიახლე, რომელიც მოსწავლის განვითარებას ემსახურება, ჩემთვის ერთნაირად მნიშვნელოვანია. აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდისა (UNICEF Georgia) და ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით, 2022 წლიდან სკოლაში ინკლუზიური განათლების ცენტრი გაიხსნა, რომელიც ეხმარება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებს აუცილებელი უნარების განვითარებასა და საგანმანათლებლო პროცესში სრულფასოვან ჩართვაში. მართალია, ცენტრის გახსნის ინიციატორი მე არ ვყოფილვარ, მაგრამ პირველივე წუთიდან მხარდამჭერი გახლდით. ეს არის ექსკლუზივი მთიანი აჭარისთვის. პროგრამის ფარგლებში შეიქმნა და კეთილმოეწყო არაფორმალური განათლებისათვის საჭირო სახელოვნებო, გამოყენებითი ქსოვილების სივრცეები. ამის შემდეგ, ძალიან ბევრ აქტივობას შეეხა ფრთები. ჩვენი სკოლა აჭარის მთიანეთში სკოლებს შორის გამართული ინტელექტუალური თამაშის გამარჯვებულია.

- როგორც ვიცი, სკოლას ბევრი სტუმრობს...

- ნამდვილად. გასულ სასწავლო წელს სკოლამ მრავალ სტუმარს უმასპინძლა, ესენი გახლდათ საქართველოში სხვადასხვა ქვეყნის ელჩები, საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდისა (UNICEF Georgia) წარმომადგენლობა, სახელმძღვანელოების ავტორები და კიდევ ბევრი სხვა. მათი ვიზიტის ფარგლებში, სკოლაში გაიხსნა არაერთი ახალი სივრცე. გამოვყოფ ორგანიზაციის „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“ ხელმძღვანელობის ვიზიტს. მათ, აჭარაში პირველებს, დამსახურებული ჯილდო - „მწვანე დროშა“ გადმოგვცეს, რომელიც აღიმართა სკოლის ტერიტორიაზე. ბედნიერებაა, რომ დაბა ქედის საჯარო სკოლა მონიშნულია „ეკოსკოლების“ მსოფლიო რუკაზე.

- კურსდამთავრებულთა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მოპოვებული წარმატებების გასაღები სად უნდა ვეძებოთ?

- წარმატების გასაღები მშობლიურ სკოლაშია, წარმატების ქვაკუთხედი სკოლის, მშობლისა და მოსწავლის თანამშრომლობაა. ის ფაქტი, რომ ჩვენი სკოლის წლევანდელი კურსდამთავრებული FLEX-ის პროგრამის გამარჯვებული გახდა, ამის ერთგვარი მტკიცებულებაა. კურსდამთავრებულთა აბსოლუტური უმრავლესობა, ვინც ძალებს ეროვნულ გამოცდებზე სინჯავს, სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი ხდება. წელს სკოლას 9 მედალოსანი ჰყავდა, შესაბამისად, მოლოდინიც ძალიან დიდი გვაქვს.

> *„წარმატების ქვაკუთხედი სკოლის, მშობლისა და მოსწავლის თანამშრომლობაა. ის ფაქტი, რომ ჩვენი სკოლის წლევანდელი კურსდამთავრებული FLEX-ის პროგრამის გამარჯვებული გახდა, ამის ერთგვარი მტკიცებულებაა. კურსდამთავრებულთა აბსოლუტური უმრავლესობა, ვინც ძალებს ეროვნულ გამოცდებზე სინჯავს, სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი ხდება. წელს სკოლას 9 მედალოსანი ჰყავდა, შესაბამისად, მოლოდინიც ძალიან დიდი გვაქვს*

- ყველა სასკოლო და კლასგარეშე აქტივობაში აქტიურად ერთვებით...

- მეტი აქტივობა გვჭირდება და ჩავერთვებით კიდეც. საათისათვის არასოდეს შემიხედავს, მთავარია, საქმე გაკეთდეს ხარისხიანად. ბევრი თანამშრომელი მყავს, საქმეს ვინაწილებთ, როცა გუნდურობის ხარისხი მაღალია, საქმეც შედეგიანია.

- პედაგოგებმა რა გავლენა იქონიეს თქვენზე?

- მასწავლებლებში ძალიან გამიმართლა. ჩემს წარმატებაში უდიდესი წვლილი სწორედ მშობლიურ სკოლას და მასწავლებლებს მიუძღვით. ბევრი მათგანი, სამწუხაროდ, დღეს ჩვენ გვერდით აღარაა, მათ შორის, ჩემი პირველი მასწავლებელი ტატიანა ბარამიძე, ყველა ღირსებით შემკული ქალბატონი. დიდი პედაგოგი იყო, საუკუნო ხსენება მას.

- სკოლის ხელმძღვანელს ყოფილ აღმზრდელებთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?

- თანამშრომლობაზე, პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობა, ჩვენ ვუსმენთ ერთმანეთს. ვითვალისწინებ მათ გამოცდილებას, ცოდნასა და უნარებს.

- სკოლის 120 წლისთავის იუბილესთვის როგორ ემზადებით?

- შემოდგომაზე ვგეგმავთ იუბილეს აღნიშვნას. კვირეული გვექნება, რომელსაც ღონისძიებით შევაჯამებთ ორგანიზებულ გარემოში.

- ოჯახზე რას გვეტყვით?

- ტრადიციულ ოჯახში აღზრდილი, ტრადიციებით გზრდი შვილებსაც. პასუხისმგებლობა მოჭარბებულად მაქვს. საქმეს, რომელიც ჩემი გასაკეთებელია, ყოველთვის ვაკეთებ. ოჯახიც გვერდით მიდგას. ამ მხრივ ძალიან გამიმართლა.

- პროზა თუ პოეზია?

- კითხვა ძალიან მიყვარს, ფაქტობრივად, ჩვევაში მაქვს გადასული. პროზას ვკითხულობ, პოეზიას - ვუსმენ.

- თანატოლ, კოლეგა მწერალ თინათინ ბერიძის რომანები თუ გიზიდავთ?

- თინათინის პირველი წიგნი წავიკითხე და ვთვლი, რომ მან აუცილებლად უნდა წეროს.

- ამბობენ, რომ საკუთარი ლექსები და ჩანახატები გქონდათ.

- რაღაც დონეზე წერა შემიძლია. ის, რაც მქონდა ბავშვობასა და ყმაწვილქალობაში, ფაქიზად მაქვს შენახული... ახლა მემუარებს ვწერ.

- წარმატებული სკოლის ნოვატორ ხელმძღვანელს პოლიტიკაში ხომ არ გიხმობენ?

- არა.

- რომ შემოგთავაზონ, სკოლას აირჩევდით თუ პოლიტიკას?

- ზუსტად რაც ვიცი, ისაა, რომ სკოლაში ძალიან ბევრი საქმე მაქვს გასაკეთებელი.

- დაბოლოს, რა სიახლე დახვდებათ ახალ სასწავლო წელს მოსწავლეებსა და პედაგოგებს?

- სკოლამ ავტორიზაციის გზისკენ ქმედითი ნაბიჯები უკვე გადადგა. ეს იყო ჩემი ცხოვრების უდიდესი გამოწვევა, რასაც კოლეგების და ხელმძღვანელობის თანადგომით გავუმკლავდი. გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. ახალ სასწავლო წელს მოსწავლეებს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები დახვდებათ, მოეწყობა სასკოლო ბიბლიოთეკა. 2023-2024 სასწავლო წელს ამოქმედდება სპორტკომპლექსი.

აგვისტოს ომის გმირს არ ივიწყებენ

2008 წლის 21 ივლისს მეგობრებმა, სამხედრო ნაწილის ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა ბარათაულელი ამირან მამალაძის დაბადებიდან 23 წელი აღნიშნეს. მაშინ გულშიც ვერ გაივლებდნენ, რომ ის საღამო ამირანის სიცოცხლეში უკანასკნელი იქნებოდა

2008 წლის აგვისტო ამირანისა და სხვა ბევრი ჭაბუკისთვის საბედისწერო აღმოჩნდა... მშობლიურ სოფელ ბარათაულის ტბათის უბანში მიუჩინეს აგვისტოს ომის გმირს სამუდამო განსასვენებელი. იმ წლიდან მოყოლებული, ახლობლები, მეგობრები, ქართული ჯარისა და შუახევის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები 21 ივლისს საფლავთან იკრიბებიან და გმირის ნათელ ხსოვნას პატივს მიაგებენ. ასე იყო წელსაც.

- ამირანი 38 წლის გახდებოდა, - თქვა მეგობარმა არმაზ ქამადაძემ, - მის მეგობრებს არ გვავიწყდება ამირანის მიზანსწრაფვა, მინდობილი საქმისადმი გულისხმიერება... იგი ბრძოლის ველზეც ასეთი იყო. მეგობრები თავს მოვალედ მივიჩნევთ, რომ ყოველი წლის 21 ივლისს და 8 აგვისტოს მის საფლავთან შევიკრიბოთ, მუხლი მოვიდრიკოთ და პატივი მივაგოთ.

მეგობრებთან ერთად გმირის საფლავი გვირგვინითა და ყვავილებით შეამკეს შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ, მერიის გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის უფროსმა ჯემალ დიასამიძემ, შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარმა დეპუტატმა მურად ქათამაძემ, მერის წარმომადგენელმა ბარათაულის ადმინისტრაციულ ერთეულში ჯუმბერ ქათამაძემ, ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის წარმომადგენელმა ემზარ ჭაღალიძემ, ამირანის მშობლებმა, თანასოფლელებმა.

- ამირან მამალაძე რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომში წინა ხაზზე იბრძოდა. 9 აგვისტოს ცხინვალის მისადგომებთან დაიღუპა. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით, იგი გმირად დარჩა ჩვენს ხსოვნაში, - გვითხრა ომარ ტაკიძემ.

ელექტროქსელს აწესრიგებენ

მესხეთისა და აჭარა-გურიის ქედებზე არსებულ პირუტყვის საზაფხულო საძოვრებზე ელექტროგაყვანილობის სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს

ადგილობრივი ბიუჯეტიდან მობილიზებული თანხებით ხულოს მუნიციპალიტეტის მერია წელს, ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში, ვაშლოვანის, თეთრობის, დიდაჭარის, ზოტიყელის, ზედა და ქვედა ყორანაიაილის მთებში ელექტროგადამცემ ქსელს აწესრიგებს.

პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს როგორც შიდა ქსელის, ასევე 10-კილოვოლტიანი ხაზების მოწყობა. აღნიშნული მიმართულებით თვითმმართველობის ბიუჯეტიდან 1 311 632 ლარი დაიხარჯება.

ვაშლოვანის მთაში მიმდინარე სამუშაოებს ხულოს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე, საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძე, საქართველოს პარლამენტისა და აჭარის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი დეპუტატები ანზორ ბოლქვაძე და ფრიდონ ფუტკარაძე გაეცნენ.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

კონცერტი – მერისში

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

მერისის სასოფლო კულტურის სახლში ჯგუფმა „შარამ“ (ხელმძღვანელი - ჭაბუა ამირანაშვილი) კონცერტი გამართა.

ღონისძიებაში ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლები „ბანოვანი“ და „მოყვარე“, ავსტრიული ანსამბლი „წინწყარო“ მონაწილეობდნენ.

ვაჟთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „მოყვარემ“ ავსტრიის ანსამბლ „წინწყაროსთან“ და შვეიცარიელ ქრისტოფორ დერევინსკისთან ერთად, „ჩაღმა ჩაყრილო ვენახო“, „მერისული მაყრული“ და ქართული საგალობლები შეასრულა.

მაყურებელთა განსაკუთრებული ოვაცია დაიმსახურა კუბელმა სტუმარმა ადა მარონმა, რომელმაც ჯგუფ „შარასთან“ იმღერა.

- მერისის ხეობის ფოლკლორი ქვეყნის მასშტაბით კარგადაა ცნობილი. ისიც მისასალმებელია, რომ აქაური ფოლკლორით უცხოელებიც არიან დაინტერესებულნი, რაც კონცერტის მსვლელობისას ნათლად წარმოჩნდა, - გვითხრა ქედის მუნიციპალიტეტის მერმა როლანდ ბერიძემ.

„გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება“

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გამოეხმაურა მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას რუსულ-ქართული უნივერსიტეტის შესაძლო გახსნასთან დაკავშირებით და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ის სიმართლეს არ შეესაბამება.

„მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, ვაცხადებთ, რომ ინფორმაცია, თითქოს საქართველოში რუსეთის დაფინანსებით იხსნება რუსულ-ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, სიმართლეს არ შეესაბამება.

გაცნობებთ, რომ რუსულ-ქართული სასწავლებლის გახსნის მოთხოვნით სსიპ „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში“ განცხადება არ შემოსულა.

როგორც მოგეხსენებათ, „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ მიერ ავტორიზაციის მინიჭების გარეშე არც ერთ სასწავლებელს არ აქვს საქართველოში საგანმანათლებლო საქმიანობის წარმოების უფლება. საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვებისთვის დაწესებულებამ უნდა გაიაროს ავტორიზაცია, რომლის მიზანია სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა. ავტორიზაციის გავლა სავალდებულოა როგორც საჯარო, ასევე კერძო სუბიექტისთვის.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ მსგავსი სასწავლებლის გახსნასთან დაკავშირებით საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში არანაირი პროცედურა არ მიმდინარეობს. გავრცელებული ინფორმაცია აღნიშნულთან დაკავშირებით არის დეზინფორმაცია, რომელიც ემსახურება საზოგადოების შეცდომაში შეყვანას, განათლების სისტემისა და ხელისუფლების მიზანმიმართულ დისკრედიტაციას“, - ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

ამირან გურიელიძე

უკრაინისთვის სამხედრო დახმარების... სამწლიანი გეგმა

ლიეტუვის ეროვნულმა თავდაცვის საბჭომ უკრაინისთვის სამხედრო დახმარების სამწლიანი გეგმა მიიღო. ამის შესახებ ინფორმაცია ქვეყნის თავდაცვის სამინისტრომ გაავრცელა.

უწყების განმარტებით, 2024-2026 წლებში უკრაინის შეიარაღებული ძალების მხარდაჭერის გეგმის დაფინანსება დაახლოებით 200 მილიონ ევროს შეადგენს.

„მხარდაჭერის ძირითადი მიმართულებები ლეტალური და არალეტალური მოწყობილობის შესყიდვა, სამხედრო განათლება და მომზადება დახმარების ფონდებში შენატანები, ლიეტუვის ტერიტორიაზე სამხედრო ტექნიკის რემონტი და პირადი შემადგენლობის მომზადება იქნება“, - ნათქვამია განცხადებაში.

ლიეტუვის თავდაცვის მინისტრ არვიდას ანაშაუსკასის თქმით, მოსალოდნელია, რომ გეგმის დაფინანსება მშვიდობის ევროპულმა ფონდმა უზრუნველყოს.

ამირან გურიელიძე

როგორ იზრდება ჩვენი პატარა?

ქეთევან კილაძე 593 73 45 74

მშობლებს რომ ხშირად აღელვებთ კითხვა - ასაკის შესაბამისად მიმდინარეობს თუ არა ბავშვის ზრდა-განვითარება, ეს ყველამ კარგად ვიცით.

არსებობს პარამეტრები, რომლებიც მეტყველებს ბავშვის ფიზიკურ განვითარებაზე. სიმაღლეში ზრდის ნორმალური ტემპი სწორედ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. თუ სიმაღლეში ზრდა შეფერხდა ან, პირიქით, ბავშვმა თანატოლებზე სწრაფად აიყარა ტანი, ენდოკრინოლოგთან ვიზიტი აუცილებელია, რათა მოხდეს ნორმის ვარიანტის (კონსტიტუციური ფორმის) პათოლოგიური მდგომარეობისგან დიფერენცირება, დროულად დადგინდეს მიზეზი და დაინიშნოს სათანადო მკურნალობა.

სიმაღლის შესაფასებლად სპეციალურ ცხრილებს ვიყენებთ. მათში კონკრეტული პოპულაციისთვის ასაკისა და სქესის მიხედვით ნებისმიერი სამედიცინო პარამეტრის (სხეულის მასის, სხეულის მასის ინდექსის, თავის გარშემოწერილობის) ნორმის ფარგლები და საშუალო მონაცემებია მოყვანილი. ამ პარამეტრებზე დაკვირვება მუცლადყოფნის პერიოდში იწყება, დაბადებისას ახალშობილის სიგრძე და მასა ორსულობის შესაბამის ვადებს ედარება და შემდგომ გრძელდება დაკვირვება ფიზიკური განვითარების პარამეტრებზე; წლამდე - 1-3 თვეში ერთხელ, 3 წლამდე - წელიწადში 2-4-ჯერ, შემდგომ კი წელიწადში 1-2-ჯერ. დაახლოებით 4 წლიდან ბავშვის სიმაღლეში ზრდის ბაზალური სიჩქარე ყოველწლიურად 4-5 სმ-ია. თუ მაჩვენებელი უფრო დაბალია, ყურადღება ექცევა ფენოტიპურ და ზოგად ნიშნებს და იგზავნება ენდოკრინოლოგთან.

როგორც ცნობილია, სიმაღლის მატება გენეტიკურად დაპროგრამებული პროცესია, ბავშვის საბოლოო სიმაღლე სწორედ მშობლების პარამეტრების მიხედვით შეიძლება გამოითვალოს: დედისა და მამის სიმაღლეების ჯამს ვყოფთ ორზე; ამ მაჩვენებელს ვაჟებისთვის ვუმატებთ 6,5 სმ-ს, ხოლო გოგონებისთვის ამდენივეს ვაკლებთ. ეს ე. წ. სამიზნე სიმაღლის საშუალო მაჩვენებელია, რომელიც დაახლოებით 17-18 სმ-ის ფარგლებში მერყეობს. ეს არ ნიშნავს, რომ ადამიანის სიმაღლეზე მხოლოდ გენეტიკაა პასუხისმგებელი. დადგენილია, რომ პრინციპული მნიშვნელობა აქვს კვებას, დღის რეჟიმს, ჯანმრთელობის ზოგად მდგომარეობას და ა. შ. სიმაღლეში ზრდას სეზონურობა და დღეღამური რიტმიც კი ახასიათებს. ბავშვები ტანს ყველაზე ინტენსიურად გაზაფხულზე და ზაფხულის დამდეგს იყრიან, გვიან ზაფხულში და შემოდგომაზე ზრდის ტემპი ყველაზე ნაკლებია, ზამთარში კი შედარებით იმატებს.

სიმაღლეში ზრდის შეფერხება შეიძლება გამოიწვიოს ნებისმიერმა ქრონიკულმა არასწორად ან არანამკურნალევმა დაავადებამ (მაგ. ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიები, ჰიპოფიზის ჰორმონების უკმარისობა, თირკმელზედა ჯირკვლის ჰორმონების სიჭარბე...). ყველაზე ხშირია ტანდაბლობის კონსტიტუციური და ოჯახური ფორმები. ცალკე უნდა გამოვყოთ ზრდისა და სქესობრივი განვითარების კონსტიტუციური შეფერხება. ზოგჯერ ასეთი შეფერხებები ხანმოკლე მკურნალობას მოითხოვს. მშობლებს ხშირად მიჰყავთ ექიმთან 13-16 წლის ვაჟები, რომლებიც თანატოლებთან შედარებით სიმაღლეში ჩამორჩენას ძალიან განიცდიან, თუმცა ირკვევა, რომ მათი მშობლებიც შესაბამის ასაკში ზრდაში ჩამორჩებოდნენ თანატოლებს, მაგრამ მოგვიანებით ტანი სწრაფად აიყარეს. თუმცა ამის გათვალისწინებითაც კი, არ გამოირიცხება ბავშვის პათოლოგიური მდგომარეობა და დინამიკაში დაკვირვებას საჭიროებს.

ზრდის გენეტიკური პროგრამა სისრულეში მოჰყავს ენდოკრინულ სისტემას და ამ პროცესში თითქმის ყველა ჰორმონი (ჰიპოფიზის, ფარისებრი ჯირკვლის, თირკმელზედა ჯირკვლის, სასქესო ჰორმონები, ინსულინი, კალციუმის მარეგულირებელი პარათჰორმონი, D ვიტამინი) მონაწილეობს. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ზრდის ჰორმონს - სომატოტროპინს, რომელსაც ჰიპოფიზი გამოიმუშავებს. ენდოკრინული მიზეზით გამოწვეული ტანდაბლობა 3-4%-ს შეადგენს. ზრდაში ყველაზე აშკარა ჩამორჩენას იწვევს სომატოტროპინის თანდაყოლილი უკმარისობა. ასეთი ბავშვები ნორმალური წონისა და სიგრძის იბადებიან, ზრდის შეფერხება 2-3 წლისთვის იწყება, თუმცა მანამდე შეიძლება გამოვლინდეს მეტაბოლური დარღვევები, მაგ. გლუკოზის დონის დაქვეითება, რაც უდიდეს გავლენას ახდენს სწორ განვითრებაზე.

სომატოტროპინის სეკრეციაზე გენეტიკასთან ერთად პასუხისმგებელია: კვება, ფიზიკური დატვირთვა და ძილი. სისხლში გლუკოზის მაღალი დონე თრგუნავს ზრდის ჰორმონის გამოყოფას, ხოლო გლუკოზის დონის დაქვეითება, პირიქით, ასტიმულირებს მის სეკრეციას. ეს არ ნიშნავს, რომ ბავშვი უნდა შიმშილობდეს, სრულფასოვანი კვება ნებისმიერ ასაკში აუცილებელია ფიზიკური განვითარებისთვის. დაბალანსებული რაციონი გულისხმობს ხილს, ბოსტნეულს, ცილებით მდიდარ საკვებს (ხორცი, თევზი) და რძის ნაწარმს.

ზომიერი ფიზიკური აქტივობა ხელს უწყობს ზრდის ჰორმონის წარმოქმნას და ძვალსახსროვანი სისტემის სწორ განვითარებას. ასევე, სომატოტროპული ჰორმონის წარმოქმნა ჩაძინებიდან 1-2 საათში, ღრმა ძილის ფაზაში იმატებს.

ზრდის დარღვევა შეიძლება გამოიწვიოს თანდაყოლილმა მიზეზებმა: საშვილოსნოშიგა განვითარების შეფერხებამ, ძვლოვანი სისტემის დაავადებებმა, ქრომოსომულმა ანომალიებმა. საშვილოსნოსშიგა განვითარების შეფერხებას შესაძლოა საფუძვლად ედოს ინფექცია, თამბაქოს, ალკოჰოლის, ნარკოტიკების მოხმარება. ქრომოსომული ცვლილებებიდან ტანდაბლობას გოგონებში ყველაზე ხშირად ტერნერის სინდრომი იწვევს. ამ დროს გოგონებს ერთი სასქესო ქრომოსომა ან მისი ნაწილი აკლიათ, სიმაღლესთან ერთად ფერხდება პირველადი და მეორეული სასქესო ნიშნების განვითარებაც, კისრის გვერდით ზედაპირზე კი სიმეტრიული ფრთისებრი ნაოჭი შეინიშნება. ზრდის პროცესს ხელს უშლის ასევე სასუნთქი, გულ-სისხლძარღვთა, საჭმლის მომნელებელი, თირკმლის ქრონიკული დაავადებები. სწორი მკურნალობის ფონზე შესაძლოა სიმაღლეში დაწევის ფენომენიც მივიღოთ.

არსებობს ასევე ე. წ. ფსიქოემოციური ტანდაბლობაც, რომელსაც ბავშვებში ხანგრძლივი ფსიქოემოციური სტრესი იწვევს და სიმაღლის მატებისა და სქესობრივი განვითარების შეფერხებით ვლინდება. ზრდის ჰორმონის დეფიციტი ამ დროს ლაბორატორიულად დასტურდება. გარემოს შეცვლის შემდეგ მდგომარეობაც იცვლება, ჰორმონის დონე იმატებს. სითბოთი და სიყვარულით სავსე ოჯახი ნორმალური ზრდა-განვითარების ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია.

მთავარი რედაქტორი მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»

პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»

მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა

ტელ: 27-13-31

აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში

დასაბეჭდად ხელმოწერილია 24/07/23, 22 35 სთ.

დირექტორი მამუკა ბერიძე

მე-15 საერთაშორისო ფესტივალი „ღამის სერენადები“

მალე, 22 აგვისტოდან 24 სექტემბრის ჩათვლით, რიგით მე-15 საერთაშორისო ფესტივალი „ღამის სერენადები“ გაიმართება, რომლის ნაწილი წლების განმავლობაში ჩვენი ქალაქიცაა. ფესტივალის ფარგლებში ექვსი კონცერტი ბორჯომში, ბათუმსა და თბილისში ჩატარდება

როგორც ყოველთვის, წლევანდელ ფესტივალშიც მონაწილეობენ მსოფლიოში აღიარებული ქართველი და უცხოელი ვარსკვლავები, ასევე, ნიჭიერი ახალგაზრდა მუსიკოსები.

„ღამის სერენადები“ ბორჯომის სასტუმრო „ბორჯომი ლიკანში“ გალა კონცერტით გაიხსნება, რომელშიც მსმენელის წინაშე მსოფლიოში აღიარებული ისეთი მუსიკოსები წარსდგებიან, როგორებიც არიან საბინე გროფმაიერი (კლარნეტი, გერმანია), ეილიკა ვუნში (სოპრანო, გერმანია), გიორგი ონიანი (ტენორი, საქართველო), რიკარდო მარინელო (ტენორი, იტალია), ასევე ახალგაზრდა ქართველი შემსრულებლები: გიორგი ოიკაშვილი (კლარნეტი, საქართველო), მარიამ კიკალეიშვილი (მეცოსოპრანო, საქართველო), აგრეთვე ანსამბლი „ბორჯომი“ (ხელმძღვანელი - გიორგი ბუგიანიშვილი).

სოლისტებს თანხლებას გაუწევს ფესტივალის საბაზო ორკესტრი „საქართველოს ვირტუოზები“, ორკესტრის კონცერტმაისტერი - პირველი ვიოლინო ლელა მჭედლიძე. შესრულდება საოპერო არიები ვერდის, პუჩინის, მოცარტის ოპერებიდან, ნეაპოლური სიმღერები, ინსტრუმენტული მუსიკის საყოველთაოდ აღიარებული შედევრები: ბახის ბადინერი, ბრამსის უნგრული ცეკვა, შოსტაკოვიჩის ვალსი, პიაცოლას ობლივიონი, ასევე აუღერდება ქართული მუსიკა - „ასე ჩოხგური“ და „კუჩხიბედინერი“ ოთარ თაქთაქიშვილის ვოკალური ციკლიდან „მეგრული სიმღერები“.

ჩვენს ქალაქში „ღამის სერენადების“ კონცერტები 24 და 25 აგვისტოს ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართება: 24 აგვისტოს მოვუსმენთ ეილიკა ვუნშის (სოპრანო, გერმანია) და რიკარდო მარინელოს (ტენორი, იტალია).

ისინი შეასრულებენ ცნობილ საოპერო არიებს, დუეტებსა და ანსამბლებს, ნეაპოლურ სიმღერებს, ხოლო საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი კორეელი მევიოლინე ჰეიონ პარკი შეასრულებს ედვარდ გრიგის მესამე სავიოლინო სონატას ქართველ პიანისტთან თამარ ლიჩელთან ერთად.

25 აგვისტოს საღამოზე აუღერდება ინგლისელ კომპოზიტორ რალფ ვოან უილიამსის „The Lark Ascending“ (ტოროლას აფრენა), რომელსაც ჰეიონ პარკი თამარ ლიჩელთან ერთად შეასრულებს, ასევე, „საქართველოს ვირტუოზების“ თანხლებით ჰეიონ პარკი შეასრულებს ბეთჰოვენის სავიოლინო კონცერტს.

ფესტივალის შემდეგი სამი კონცერტი გაიმართება სექტემბერში, თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში.

კონცერტების პარალელურად, ფესტივალის ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა შემეცნებით-საგანმანათლებლო პროგრამას - მოსწავლე ახალგაზრდებისთვის, მათ შორის შშმ პირებისთვის გაიმართება დარგობრივი მასტერკლასები, ვორქშოპები და ღია ლექციები.

„ღამის სერენადები“ ყველაზე ხანგრძლივი ისტორიის მქონე საერთაშორისო ფესტივალია საქართველოში, რომელიც არსებობის 41 წელს ითვლის. ფესტივალის შექმნის იდეა ეკუთვნის ლიანა ისაკაძეს - ქართველ მევიოლინესა და დირიჟორს, საქართველოს სახალხო არტისტს, რომელიც საუკუნის უდიდესი მუსიკოსების რიცხვს მიეკუთვნება. იგი კემბრიჯის ბიბლიოგრაფიული ცენტრის მიერ შეყვანილია XX საუკუნის 2000 გამოჩენილ მუსიკოსთა ენციკლოპედიაში (ინგლისი, 2002 წელი).

ჯერ კიდევ 1982 წელს, ლიანა ისაკაძემ, საქართველოს უმშვენიერეს მხარეში - აფხაზეთში დააარსა საერთაშორისო ფესტივალი „ღამის სერენადები“, რომელიც ზაფხულობით ბიჭვინთაში იმართებოდა და უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების გამო, 1991 წელს ფესტივალმა არსებობა შეწყვიტა, 2002-2009 წლებში ფესტივალი ტარდებოდა ბორჯომში „ხელოვნების ზეიმის“ სახელით, 2009 წლიდან კი შესაძლებელი გახდა „ღამის სერენადების“ აღდგენა და ფესტივალმა შავიზღვისპირეთის ულამაზეს ქალაქ ბათუმში გადმოინაცვლა.

2018 წლიდან ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელია გიორგი ისაკაძე - მუსიკოსი და პედაგოგი, ინგოლშტატისა და მიუნხენის მუსიკისა და ცეკვის აკადემიის და სკოლის დამფუძნებელი და დირექტორი, ლიანა ისაკაძის ძმისშვილი.

ფესტივალი არსებობის განმავლობაში არაერთ მსოფლიო დონის მუსიკოსს მასპინძლობდა, მათ შორის ალფრედ შნიტკეს, კურტ მაზურს, გიდონ კრემერს და მრავალ სხვას.

ფესტივალის მხარდამჭერები არიან: საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, ქალაქების ბათუმის, თბილისის და ბორჯომის მერიები, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, იტალიისა და გერმანიის საელჩოები საქართველოში.

ფესტივალის პარტნიორებია ეროვნული სიმფონიური ორკესტრი, ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი.

ფესტივალის ორგანიზატორი კომპანია - „არტ ალიანსი“, დირექტორი - ნინა ცაგარელი, ორკესტრის კონცერტმაისტერი, პირველი ვიოლინო - ლელა მჭედლიძე.

მარი მიდასელი